

ქართლის ეკლესია V საუკუნეში

დავით ჩიქოვანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბეჟან ჯავახია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

აბსტრაქტი

V საუკუნე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხანაა როგორც ქართლის, ასევე ზოგადად ეკლესიის ისტორიაში. ამ პერიოდში სასანიანთა ირანში ჩამოყალიბდა „აღმოსავლეთის ეკლესია“, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიაში დასრულდა ეკლესიათა გაერთიანება-ჩამოყალიბების პროცესი. ეს პროცესები ქართლის ეკლესიასაც შეეხო და დიდწილად განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი.

ქართლის ეკლესიის ისტორიის შესახებ V საუკუნეში არსებობს წერილობითი წყაროები როგორც ქართულ, ისე ბერძნულ, სომხურ და სირიულ ენებზე. მართალია, ქართული წყაროები შედარებით ვრცელია, ხოლო უცხოენოვანი წყაროები მოკლე, მაგრამ ხშირად სწორედ უცხოენოვანი წყაროების საფუძველზე ხერხდება ქართლის ეკლესიაში არსებულ ვითარებაზე წარმოდგენის შექმნა.

ქართლის ეკლესიის შესახებ არსებული წყაროები ასე თუ ისე შესწავლილია ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ეს ხდებოდა ზოგიერთი მოვლენისადმი მოძველებური დამოკიდებულებით, ჩვენს ნაშრომში საკითხები დასმულია ახლებურად, დასავლეთში არსებული თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს თემის ერთ-ერთ სიახლეს.

წყაროთა წყაროთმცოდნეობითი ანალიზის და წყაროთა შედარების მეთოდოლოგიით წერილობითი წყაროები შეჯერებული და გაანალიზებულია, რომლის საფუძველზე გამოტანილია ლოგიკური დასკვნები.

კვლევის შედეგს წარმოადგენს:

1. უარყოფილია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული აზრი, რომლის მიხედვითაც 381 წლის II მსოფლიო კრებაში მო

ნაწილედ ეპისკოპოსი პანტოფილედ იყო ქართლის ეპისკოპოსი და დადგენილია, რომ პანტოფილედ იყო ქალაქ იბორას ეპისკოპოსი, რომელიც მდებარეობდა ჰელენოპონტის პროვინციაში.

2. დადგენილია, რომ ქართლის ეკლესია არასდროს ემორჩილებოდა ამასიის პონტოს ეკლესიას.

3. დადგენილია, რომ ქართლის ეკლესია 410-420 წლებს შორის მოექცა „აღმოსავლეთის ეკლესიის“ დაქვემდებარებაში. რაც დადასტურებულ იქნა დასავლეთის ეკლესიათა მიერ.

4. დადგენილია, რომ 419-420 წლის ირანის საეკლესიო კრებას ესწრებოდა ქართლის ეკლესიის მეთაური.

5. დადგენილია ქართლის ისტორიის ზოგიერთი მოვლენის ქრონოლოგია.

6. შესწავლილია კათოლიკოსის ტიტულად ჩამოყალიბების ისტორია, განხილულია ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოტანილია დასკვნა, რომ კათოლიკოსის ტიტული აღმოსავლეთის ეკლესიაში დამკვიდრდა 410 წელს.

7. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის ეკლესიაში კათოლიკოსობის დაწესება წარმოადგენდა აღმოსავლეთის ეკლესიიდან დე-იურე გამოსვლის და სელევკია-ქტეზიფონის კათოლიკოსთან გათანაბრების ცდას, რაც წარმატებით განხორციელდა ვახტანგ გორგასლის დროს.

8. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის ეკლესიის პირველი კათოლიკოსი იკურთხა არა ანტიოქიაში, არამედ ქართლშივე.

ნაშრომი დაეხმარება ისტორიკოსებსა და ქართლის ეკლესიისა და პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქართლის ეკლესია, ქართლის სამეფო, აღმოსავლეთის ეკლესია, სასანიანთა ირანი, კათოლიკოსი, საეკლესიო კრება.

Abstract

V century is one of the most important times in the history of Kartli, as well as in the history of the Church. During this period, in the Sasanian Iran was formed the Eastern Church, and in the Eastern Roman Empire ended the process of forming a unification of churches. These processes touched the Kartli Church and largely determined its future fate.

About the History of the Church of Kartli In the V century there are written sources in Georgian, Greek, Armenian and Syriac languages. Although Georgian sources are relatively extensive, foreign sources are short, but often based on foreign sources, to present the situation in Church of Kartli.

The sources of the Church of Kartli have been studied in Georgian and foreign historiography quite well, but this was done with the attitude of some of the events, the issues in our work have been put in place in the recent past.

Based on the written sources are compared and analyzed on the logical conclusions.

The research results are :

1. It was established that Panthophilus was the bishop of Ibora, located in the province of Helenopont.
2. The Church of Kartli was never obeyed by the Amassian Pontus Church.
3. The Church of Kartli was subordinated between 410-420 years under the control of the Eastern Church. Which was confirmed by the western churches.
4. At 419-420, the Synod of Eastern Church was attended by the head of the kartli's Church.
5. The chronology of some events of history of Kartli has been established.
6. Has been studied the history of the formation of a Catholicos title and The conclusion is that the title of the Catholic was established in the Eastern Church in 410.

7. With getting the title of the Catholicos the head of the Church of Kartli equated with the head of the Eastern Church.

8. The first Catholicos of Kartli was ordained in Kartli.

Key words: Church of Kartli, Kingdom of Kartli, Eastern Church, Sasanian Persia, Catholicos.